



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-29/ნ

26 ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

მეორე ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 11² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს მეორე ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა 3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის თანდართული წესი.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო